პრევენცია პროგრესისთვის
PREVENTION FOR PROGRESS

2014-2021 წლების ანგარიში

პრევენცია პროგრესისთვის

www.pfp.ge

სარჩევი

განვლილი ისტორია და ახალი სახელი 5

მიღწევები და გამოწვევები 6

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 7

პენიტენციური და პრობაციის სისტემა 7

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ბავშვთა კეთილდღეობა 9

ქალთა უფლებების დაცვასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა 12

პროექტები და დონორი ორგანიზაციები 12

ანტონ (ტატო) ქელბაქიანი

გამგეობის თავმჯდომარე

მოგესალმებით ორგანიზაციის „პრევენცია პროგრესისთვის“ (PFP) სახელით. ორგანიზაცია დაფუძნდა გუნდის მიერ, რომელსაც ჰქონდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, პენიტენციური და პრობაციის და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. 9 წლის განმავლობაში პატივი მქონდა ვყოფილიყავი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ჩვენს გუნდთან ერთად გაგვევლო საინტერესო გზა ორგანიზაციის გაძლიერების და განვითარების მიმართულებით. PFP-იმ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ბავშვთა კეთილდღეობის, პენიტენციური და პრობაციის სფეროს გამოწვევების შესწავლის და მათი გადაჭრის გზების დასახვის ადვოკატირების მიმართულებით. 2022 წელს ორგანიზაციამ გადაწყვიტა განეხორციელებინა რებრენდინგი, რის შედეგადაც შეიცვალა ორგანიზაციის სახელი და მმართველობითი სისტემა, სადაც საქმიანობას განვახორციელებ ახალ ამპლუაში. PFP-ი გეგმავს ახალი ენერგიით და განახლებული გუნდით, გააგრძელოს საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც ორგანიზაციას დაუგროვდა მრავალწლიანი გამოცდილება.

ნატალია ცაგარელი

ორგანიზაციის დირექტორი

პატივი მაქვს მოგესალმოთ ორგანიზაციის „პრევენცია პროგრესისთვის“ სახელით. მსურს თქვენთან ერთად მეც შევაჯამო ორგანიზაციის 9 წლიანი საქმიანობა. ვფიქრობ ეს არც ისე მცირე დროა ღირებულებების შესამოწმებლად, საკუთარი ძალების გასაზომად და არსებული გამოწვევების შესაფასებლად, ამავდროულად ეს დრო არც ისე დიდია ყველაფრის მოსასწრებად, ყველა ნაკლოვანების გამოსასწორებლად. ამიტომ ღრმად მწამს, რომ ახალი სახელი იქნება არა მხოლოდ გარეგნული, კოსმეტიკური ცვლილება, არამედ მოიტანს მნიშვნელოვან და პოზიტიურ შინაარსობრივ ცვლილებებსაც. ვეცდებით მომავალ წლებში კიდევ უფრო გავძლიერდეთ, გავშალოთ ჩვენი საქმიანობის არეალი, გავაფართოვოთ ჩვენი ერთგული და კომპეტენტური გუნდი, დავრჩეთ დემოკრატიული ფასეულობების სადარაჯოზე, ბოლომდე ვუერთგულოთ არჩეულ ღირებულებებს და ყველა რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის სასიკეთო ცვლილებებისთვის.

განვლილი ისტორია და ახალი სახელი

2022 წელი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის - „პრევენცია პროგრესისთვის“ მნიშვნელოვანი და ცვლილებების მომტანი წელი აღმოჩნდა. თითქმის ათწლიანი აქტიური საქმიანობის შემდეგ, საზოგადოებასთან, პერტნიორებთან და ბენეფიციარებთან უკეთესი კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზიამ გადაწყვიტა განეხორციელებინა რებრენდინგი, შეიცვალა სახელი, ლოგო, ბრენდინგი, განაახლა ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობითი გუნდი. თანამედროვე პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ სოციალურ გამოწვევებს „პრევენცია პროგრესისთვის“ ახალი ძალით, გაუმჯობესებული ექსპერტული ცოდნითა და უფრო მეტად დაბალანსებული ორგანიზაციული სტრუქტურით ხვდება.

გასული სამუშაო პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაციამ კვლევისა და ადვოკატირების კუთხით უნიკალური ნიშა დაიმკვიდრა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის. „პრევენცია პროგრესისთვის“ წამოადგენს ერთ-ერთ ლიდერ ორგანიზაციას, რომელიც ძირეულად იკვლევს საქართველოს პენიტენციურ და პრობაციის სისტემას. განვლილი წლების განმავლობაში ორგანიზაციამ ფაქტობრივად სისტემის სრულმასშტაბიანი და ყოველმხრივი შესწავლა განახორციელა და საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია მისი ფუნქციონირების შესახებ. სწორედ პენიტენციური სისტემის რეფორმის სისტემურმა მარცხმა შეასრულა გარდამტეხი როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებაში და დღემდე საკმაოდ მაღალი მგრძნობელობისა და ინტერესის სფეროს წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრიმინალური სუბკულტურის კვლევა, რომელმაც ნათლად წარმოაჩინა თანამედროვე ციხის მართვის ტენდენციები და მანკიერი მხარეები. ორგანიზაცია არა მხოლოდ დისტანცირებულად იკვლევდა პენიტენციურ და პრობაციის სისტემის ფუნქციონირებას, არამედ საქართველოს სახალხო დამცველის მხარდაჭერით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მეშვეობით, ადგილზე აკვირდებოდა დღევანდელი ციხის ფუნქციონირებას. ორგანიზაციამ „პრევენცია პროგრესისთვის“ ასევე მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსი დახარჯა როგორც ციხის თანამშრომელთა უფლებების დაცვის, ასევე პატიმართა რესოციალიზაციის მიმართულებით.

ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი იყო „პრევენცია პროგრესისთვის“ საქმიანობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში: სწორედ ჩვენმა ორგანიზაციამ გადადგა პირველი ნაბიჯები არასრუწლოვანთათვის ქვეყანაში პროპორციული და სამართლიანი სასჯელის დანიშვნის უზრუნველსაყოფად, წინასასამართლო შეფასების ანგარიშის მომზადების სისტემის გაუმჯობესების გზით. ასევე საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით ორგანიზაციის გუნდმა პირველად საქართველოს

ისტორიაში შეძლო განეხორციელებინა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის დახურული სასამართლო პროცესების მრავლისმომცველი მონიტორინგის განხორციელება.

მიღწევები და გამოწვევები

არასამთავრობო ორგანიზაციამ „პრევენცია პროგრესისთვის“ 9 წლიანი საქმიანობის მანძილზე დიდი პროგრესი განიცადა და როგორც სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშგასაწევმა ძალამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 9 წლის მანძილზე „პრევენცია პროგრესისთვის“, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, განახორციელა 30-მდე პროექტი, ჩაატარა 40-მდე კვლევა და მოამზადა კვლევის ანგარიშები. ორგანიზაციამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და გაწეული მუშაობის საფუძველზე, შეიმუშვა არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, აწარმოა ცვლილებების ადვოკატირების მნიშვნელოვანი პროცესები, გააძლიერა არაერთი სახელმწიფო სტრუქტურა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის უზრუნველყო სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროცესების/პროგრამების წარმართვა.

ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციისა და გაწეული ადვოკატირების შედეგად განხორციელდა რიგი ცვლილებები როგორც საკანონმდებლო, ისე სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, მათ შორის:

- შესაბამისი უწყებების მხრიდან გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, გათავისუფლებისათვის მომზადების პროცედურების დარეგულირებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით;
- სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში (სამოქმედო გეგემებში) აისახა ვალდებულებები პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებებით;
- განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რის შედეგადაც დარეგულირდა პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში პერსონალური მონაცემების შენახვისა და განადგურების წესი;
- გარკვეული ჯგუფის არასრულწლოვან მოწმეებს მიეცათ სახელმწიფოს ხარჯით ადვოკატის მომსახურებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- გადაიდგა ნაბიჯები კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთათვის სერვისების მიწოდებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით;
- შემუშავდა არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები და ინსტრუმენტები.

გარდა აღნიშნულისა, ორგანიზაციის ფუნქციონირების მანძილზე არაერთი ტრენინგი ჩატარება შემდეგი სამიზნე ჯგუფებისთვის: სამართალდამცავი ორგანოების პერსონალი; მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური სერვისის წარმომადგენლები; პრობაციის ოფიცრები და სოციალური მუშაკები; მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკები; სკოლის მოსწავლეები; პედაგოგები; მედიის წარმომადგენლები და სხვა.

შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის და ჩაბარებული პროექტების ხარისხის გათვალისწინებით, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა და იზრდებოდა იმდენად, რომ 2019 წლისთვის ორგანიზაციის ბიუჯეტმა ნახევარ მილიონ ლარსაც კი მნიშვნელოვნად გადააჭარბა. თუმცა სამწუხაროდ, შემდგომი პერიოდი COVID 19 პანდემიის გამო ფინანსური და მატერიალური გამოწვევებით აღსავსე აღმოჩნდა და ორგანიზაციას ძალიან გაუჭირდა კრიზისულ მოცემულობასთან გამკლავება.

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

განვლილი ცხრა წლის განმავლობაში არასამთვრობო ორგანიზაცია „პრევენცია პროგრესისთვის“ საქმიანობა უკავშირდებოდა კვლევების ჩატარებას, კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებების ადვოკატირებას, ცალკეული უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდებას და საგანმანათლებლო საქმიანობას. ხოლო ორგანიზაციის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:

- პენიტენციური და პრობაციის სისტემა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა კეთილდღეობა;
- ქალთა უფლებების დაცვასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა.

პენიტენციური და პრობაციის სისტემა

ორგანიზაციის 9 წლიანი საქმიანობის პერიოდში ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს პენიტენციური და პრობაციის სისტემის კვლევა და გაძლიერება. ამ კუთხით განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ მიმართულებით ორგანიზაციაში დასაქმებული პირების ხანგრძლივმა გამოცდილებამ და პროფესიონალიზმმა, რაც მოიცავს როგორც

სისტემაში მუშაობის მრავალწლიან პერიოდს, ასევე საკითხის მკაფიო ექსპერტულ ცოდნას, და ქმნის ორგანიზაციული ექსპერტიზის განსაკუთრებულ ნიშას.

პენიტენციური და პრობაციის სფეროში მუშაობის სამიზნე მხარდასაჭერ აუდიტორიას ორგანიზაციისთვის წარმოადგენდა, როგორც პატიმრები და პრობაციონერები, ასევე უშუალოდ პენიტენციური და პრობაციის სისტემის პერსონალი. სამიზნე ჯგუფის პირობების გასაუმჯობესებლად, ორგანიზაცია მთელი 9 წლიანი საქმიანობის პერიოდში აქტიურად იკვლევდა პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში არსებულ მდგომარეობას, რეფორმების მიმდინარეობას და მომავალში ცვლილებების საჭიროებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ორგანიზაციამ „პრევენცია პროგრესისთვის“ განახორციელა პენიტენციური სისტემის სრულმაშტაბიანი ანალიზი, რაც მოიცავდა სამაგიდე და პოლიტიკის დოკუმენტების, კერძოდ, სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შესრულების კვლევას შემდეგ საკითხებზე:

- მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი;
- პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობები;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ურთიერთობა გარე სამყაროსთან;
- დისციპლინური საქმისწარმოება;
- გასაჩივრების პროცედურები;
- პენიტენციური სისტემის ჯანდაცვა და სერვისები;
- პატიმართა რისკების შეფასებისა და კლასიფიკაციის სისტემა;
- საბიუჯეტო საკითხები კვლევა;
- პენიტენციური სისტემის პერსონალი.

გარდა ამ საკითხებისა „პრევენცია პროგრესისთვის“ დიდი ორგანიზაციული რესურსი დაუთმო პენიტენციური და პრობაციის სისტემის ისეთი საკითხების კვლევას, როგორიცაა, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა და პენიტენციური სისტემიდან მათი გათავისუფლების მომზადების პროცესი. მეტიც ორგანიზაცია აქტიურად უზრუნველყოფდა არა მხოლოდ საკითხის ანალიზს, არამედ ციხის მოსახლეობას, ყოფილ პატიმრებს და პრობაციონერებს აქტიურად სთავაზობდა სხვადასხვა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სერვისებს, მათ შორის არტ თერაპიის და მუსიკა თერაპიის კურსებს.

იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო ორგანიზაციების ძირითადი აქცენტი მიმართულია უშუალოდ პატიმრებისა და პრობაციონერების უფლებრივი მდგომარეობის კვლევაზე და მათ გაუმჯობესებაზე, აღსანიშნავია „პრევენცია პროგრესისთვის“ მიერ პენიტენციური და პრობაციის სისტემის პერსონალის მდგომარეობის ანალიზი და მათ განვითრებაზე ზრუნვა. ციხის პერსონალის სამუშაო და პროფესიონალური პირობების გაუმჯობესება

როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გავლენას ახდენს უშუალოდ ციხის მოსახლეობაზე და არასაპატიმრო სასჯელშეფარდებულებზე. ამის გათვალისწინებით, საკითხის კვლევასთან ერთად, ორგანიზაციამ შექმნა სასწავლო ცენტრის ხარისხის განვითარების გეგმა, ასევე მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულების მართვის სახელმძღვანელო, ხოლო პერსონალის პროფესიონალური გაძლიერების მიზნით უზრუნველყო არაერთი ტრენინგის ჩატარება სხვადასხვა თემატურ საკითხზე.

უნიკალური იყო „პრევენცია პროგრესისთვის“ მიერ განხორციელებული ორი პროექტი. ერთ შემთხვევაში, ორგანიზაციამ საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით და მის მიერ მინიჭებული მანდატის ფარგლებში შეისწავლა COVID-19-ის ზეგავლენა საქართველოს პენიტენციური სისტემის ფუნქციონირებაზე. მეორე შემთხვევაში, კი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა პატიმართა სუბკულტურის გავლენა პენიტენციური სისტემის ფუნქციონირებაზე. კვლევამ, რომელიც ამ მასშტაბით საქართველოში პირველად ჩატარდა, კი აჩვენა, რომ დღევანდელ პენიტენციურ სისტემაში კრიმინალური სუბკულტურის გავლენით პატიმრები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან, მათ შორის სიცოცხლის დაცვისა და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხითაც.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ბავშვთა კეთილდღეობა

პენიტენციური და პრობაციის სისტემაზე მუშაობასთან ერთად, „პრევენცია პროგრესისთვის“ საქმიანობის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მუშაობა. ხშირ შემთხვევაში ორგანიზაციის საქმიანობა კვეთდა ისეთ საკითხებს, რომლებიც ერთდროულად ფარავდა როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემატიკას, ასევე პენიტენციური და პრობაციის სისტემის მიმართულებას. მაგალითითვის, ორგანიზაციამ ერთ-ერთმა პირველმა ჩაატარა კვლევა და მოამზადა ანგარიში ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში.

„პრევენცია პროგრესისთვის“ წევრებმა ჯერ კიდევ ორგანიზაციის დაფუძნებამდე პერიოდში განსაკუთრებული როლი შეასრულეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმირების პროცესში. მათი ძალისხმევის და მუშაობის შედეგად მოხდა არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების განახლებული ინფრასტრუქტურული მოწყობა, სასჯელის ინდივიდუალიზაციის სისტემის პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე დაფუძნებული არასრულწოვანთა დაწესებულების ორგანიზება და სხვა.

სამოქალაქო საზოგადოებაში საქმიანობის შემდეგ ორგანიზაციის წევრებმა განაგრძეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსაკუთრებული ექსპერტული ცოდნის არასამთავრობო სექტორში გამოყენება. ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბავშვის უფლებების დაცვის, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი და რისკის მქონე არასრულწლოვნების მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესში. „პრევენცია პროგრესისთვის“ წარმოადგენდა ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციას და სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტს, რომელმაც მუშაობა დაიწყო კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წინასასამართლო ანგარიშის მომზადების ინსტიტუტის დაფუძნების, გაძლიერების და საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში დანერგვის მიზნით. ჯერ კიდევ 2014 წელს, საერთაშორისო ორგანიზაცია ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) თანამშრომლობით, ორგანიზაციამ შექმნა წინასასამართლო/სოციალური მოკვლევის ანგარიშის მომზადების კონცეფცია, ანგარიშის მომზადების სახელმძღვანელო მითითებები სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. 2017 წელს კი ორგანიზაცია იყო ასევე მოწინავე, როდესაც კვლავ ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) თანამშრომლობით, უკვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდგომ პრაქტიკაში შეისწავლა წინასასამართლო ანგარიშის მომზადების ტენდენციები და მოამზადა კვლევა თემაზე „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების წარმოება არასრულწლოვანი პირების მიმართ სასჯელის დანიშვნისას“.

ორგანიზაციამ „პრევენცია პროგრესისთვის“ მნიშვნელოვანი და ფართომასშტაბიანი კვლევები განახორციელა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან თანამშრომლობით. კერძოდ, ანტისოციალური ქცევის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების დანაშაულის პრევენციის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაციამ მოამზადა საქართველოში არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის კვლევა. ასევე 2020 წელს განხორციელდა სრულმასშტაბიანი სამაგიდე და თვისებრივი კვლევა ისეთი საკითხებისა, როგორიცაა, პროფესიონალთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი საქართველოს პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებში. ასევე პირველად მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის და დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმების ანალიზი.

გარდა აღნიშნულისა, „პრევენცია პროგრესისთვის“ საქმიანობა წლების განმავლობაში შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა:

- ბრალდებული არასრულწლოვნების უფლებების კვლევა;
- ფსიქოლოგთა როლი არასრულწლოვნების გამოკითხვისას/დაკითხვისას;
- არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენცია სასკოლო დონეზე;
- საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობის შესწავლა;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი და ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების უზრუნველყოფა-მიწოდება;
- ბავშვთა მართლმსაჯულების სფეროში მონაცემების შეგროვების ერთიანი სისტემის ხელშეწყობა;
- ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებული მომსახურების რუკის შედგენა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორგანიზაციის მიერ საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით მომზადებული კვლევა, რომელიც სპეციალური ანგარიშის ფორმით გამოიცა. იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანთა ჩართულობით სისხლის სამართლის პროცესები დახურული განხილვის ფორმატით მიმდინარეობს, ის სრულიად ხელმიუწვდომელი იყო არასამთავრობო სექტორისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის. საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობამ და მის მიერ ორგანიზაციის ექსპერტებისთვის სპეციალური უფლებამოსილების მინიჭებამ, შესაძლებელი გახადა ორგანიზაციის წარმომადგენლები და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები უშუალოდ დასწრებოდნენ არასრულწლოვანთა მონაწილეობით ჩატარებულ სისხლის სამართლის პროცესებს და ადგილზე მონიტორინგის შედეგად შეეფასებინათ ახალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრაქტიკაში განხორციელების შედეგები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოში პირველად განხორციელდა არასრულწლოვანთა დახურულ პროცესებზე უშუალო დაკვირვება და მომზადდა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა. მნიშვნელოვანია, რომ კვლევისა და დაკვირვების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაზე ზედამხედველობას და მონიტორინგს უშუალოდ საქართველოს სახალხო დამცველი და მისი აპარატი უზრუნველყოფს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გაძლიერების და ბავშვთა კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით „პრევენცია პროგრესისთვის“ მიმდინარე რეჟიმში ახორციელებს ორ მნიშვნელოვან პროექტს. პირველის მიზანია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების რეფერირების მექანიზმის გაძლიერება. ხოლო მეორე პროექტი ემსახურება ახალგაზრდებში სუიციდის პოლიტიკის კვლევას და მის პრევენციაზე მუშაობას. სწორედ ამ უკანასკნელი პროექტის ფარგლებში, მშობლებისა და ახალგაზრდებისთვის სუიციდთან დაკავშირებით

ინფორმაციის მიწოდების მიზნით, შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი, რომელშიც ასევე ინტეგრირებულია ანონიმური ონლაინ ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და მხარდაჭერის ჩათი. ამავე პროექტის ფარგლებში მოხდა სათემო მოხალისეობრივი აქტივობის განვითარება.

ქალთა უფლებების დაცვასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა

„პრევენცია პროგრესისთვის“ საქმიანობის სპეციფიკურ და განსაკუთრებულ მიმართულებას წარმოადგენს ქალთა უფლებების დაცვასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა. ამ მხრივ ორგანიზაციის საქმიანობის ობიექტს წარმოადგენდა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული, ძალადობის მსხვერპლი, დისკრიმინაციულ მიდგომას დაქვემდებარებული, გენდერული სტერეოტიპების მსხვერპლი და სხვადასხვა საჭიროების მქონე ქალები და გოგონები. მათ შორის ნიშანდობლივია, რომ ქალთა უფლებებთან დაკავშირებით, ორგანიზაციას აქვს, როგორც კვლევითი საქმიანობის, ისე ტრენინგების ჩატარებისა და არტ თერაპიის სერვისის მიწოდების გამოცდილება:

- პანკისში მცხოვრები ქალებისთვის;
- პენიტენციურ დაწესებულებებში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის.

კვლევითი საქმიანობის კუთხით აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის ექსპერტები, ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) თანამშრომლობით, იკვლევდნენ საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებებს, რაზეც მომზადდა შესაბამისი ანგარიშიც. ორგანიზაციამ ასევე მცირე მასშტაბის კვლევის სახით შეისწავლა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა დედების სოციალური როლის ცვლილება COVID-19 პანდემიის პირობებში.

პროექტები და დონორი ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაციამ „პრევენცია პროგრესისთვის“ ცხრაწლიანი არსებობის მანძილზე განახორციელა არაერთი პროექტი, რომლებიც დაფინანსებული იყო ევროკომისიის, ღია საზოგადოების ფონდის, საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს, გაეროს ბავშვთა ფონდის, ქალთა ფონდი საქართველოში, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს, ევროპის ფონდის, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისის ოფისის, შვედეთის ინსტიტუტის და World vision-ის საქართველოს ოფისის მიერ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის დაფინანსებით ორგანიზაციამ განახორციელა 4 პროექტი. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაცია „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრთან“ (GCRT) და „სამოქალაქო განვითარების სააგენტოსთან“ (CIDA) თანამშრომლობით ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი „დანაშაულის პრევენციის გაუმჯობესება ანტისოციალური ქცევის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის“. ასევე ამ ორგანიზაციებთან და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ერთად, „პრევენცია პროგრესისთვის“ ჩართული იყო პროექტში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“. გარდა ამისა ორგანიზაციამ „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრ თანადგომასთან და ჰოლანდიურ ორგანიზაცია „მეინლაინ ფაუნდეიშენთან“ ერთად განახორციელა პროექტი „გაუმჯობესებული შესაძლებლობები - პატიმრების, ყოფილი პატიმრების და პრობაციონერების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის“. ხოლო „პრევენცია პროგრესისთვის“ „ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI)“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრთან“ ერთად ჩართული იყო პროექტში „ხელისუფლების ვალდებულებების მონიტორინგი და რეფორმების ხელშეწყობა პენიტენციურ და პრობაციის სფეროში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების დაფინანსებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ნიდერლანდების საელჩომ, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- პენიტენციური და პრობაციის სასწავლო ცენტრის ინსტიტუციური გაძლიერება;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წინასასამართლო ანგარიშის ინსტიტუტის გაძლიერება და საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხლშეწყობა (ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) თანამშრომლობით);
- არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესების მონიტორინგის სისტემის დაფუძნების მეშვეობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და კანონის უზენაესობის უფრო მაღალი სტანდარტების დაწესება;
- პანდემიის გავლენის შეფასება პატიმართა და პერსონალის ჯანმრთელობასა და უფლებრივ მდგომარეობაზე.

ორგანიზაციას „პრევენცია პროგრესისთვის“ ყველაზე ხშირად მიღებული აქვს ღია საზოგადოების ფონდის დაფინანსება, რომლის მხარდაჭერილი პროექტებიდან აღსანიშნავია შემდეგი პროექტები:

- კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციური დაწესებულების მართვაზე;

- პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვა ადვოკატირების გზით;
- სისხლის სამართლის პროცესში არასრულწლოვან ბრალდებულთა უფლებებთან დაკავშირებული ხარვეზების დაძლევა ადვოკატრების გზით;
- ფსიქოლოგთა როლის გაძლიერება გამოძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნების გამოკითხვისას/დაკითხვისას;
- კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების გავლენა საარჩევნო პროცესზე.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დაფინანსებით კი განხორციელდა/მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

- ბავშვთა მართლმსაჯულების სფეროში მონაცემების შეგროვების ერთიანი სისტემის ხელშეწყობა;
- არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ წინასასამართლო მოკვლევის ანგარიშის წარმოება ინდივიდუალური მიდგომის გზით;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების რეფერირების მექანიზმის გაძლიერება.